საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-78/ნ
2014 წლის 30 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ივნისის №183/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის, აგრეთვე იმუნიზაციის მართვის წესებისა და საჭირო სააღრიცხვო-საანგარიშგებო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 25 ივნისის №183/ნ ბრძანებაში (სსმ III, 28.06.2010 №75 მუხ.1100) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სააღრიცხვო–საანგარიშგებო ფორმები (№№ 1.3; 063; 1.4; 1.8; 1.9; 2.3; 2.8; 2.9; 2.10) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**
2. **ბრძანებით დამტკიცებული დანართის („პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი“ და იმუნიზაციის მართვის წესები):**

ა) **მე–3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,მუხლი 3. პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი

	ასაკი ვაქცინა	0-12 საათი	0-5 დღე	2 თვე	3 თვე	4 თვე	12 თვე	18 თვე	5 წელი	14 წელი
1	ბცჟ (BCG)		X							
2	ჰეპ B (HepB)	X								
3	დიფთერია-ტეტანუსი-ყივანახველა-ჰეპ B- ჰიბ (DPT-HepB-Hib)			X	X	X				
4	დიფთერია-ტეტანუსი-ყივანახველა (DPT)							X		
5	ოპვ/იპვ (OPV/IPV)			X	X	X		X	X	
6	წითელა-წითურა-ყბაყურა (MMR)						X		X	
7	დიფთერია-ტეტანუსი (DT)								X	
8	ტეტანუსი-დიფთერია (Td)*									X
9	როტავირუსული ვაქცინა (Rota)			X	X					
10	პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინა (PCV)			X	X		X			

11	ადამიანის პაპილომავირუსული (HPV)	**სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცრების დაწყების კონკრეტული წელი და აცრადაქვემდებარებული ასაკობრივი კონტინგენტები განისაზღვრება სშჯსდ სამინისტროს ცალკე ბრძანებით**
12	ჩუტყვავილა (VZV)	

შენიშვნა: * ტდ - შემდეგ ყოველ მე-10 წელს, 55 წლის ასაკამდე.“.

ბ) მე–4 მუხლის:

ბ.ა) მე–7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. პნევმოკოკური ინფექციების საწინააღმდეგო თხევადი, პოლისაქარიდული კონიუგირებული ვაქცინით (ადსორბირებული) აცრა იწყება 2 თვის ასაკიდან და მთავრდება 12 თვის ასაკში, კურსი შედგება 3 ინექციისგან – 2 პირველადი ვაქცინაციისა და ერთი ბუსტერ დოზისაგან. აცრა კეთდება კუნთში, ბარძაყის ანტეროლატერალურ ზედაპირზე, ერთი საინექციო დოზა შეადგენს 0,5 მლ-ს. ამასთან, პნევმოკოკური ვაქცინის:

ა) პირველი დოზა უნდა გაკეთდეს 2 თვის ასაკში;

ბ) მეორე დოზა უნდა გაკეთდეს 3 თვის ასაკში;

გ) მესამე დოზა უნდა გაკეთდეს 12 თვის ასაკში;

დ) პირველ და მეორე აცრას შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალი არის 4 კვირა;

ე) მეორე და მესამე აცრას შორის დასაშვები მინიმალური ინტერვალი არის 6 თვე;

ვ) მესამე აცრა უნდა გაკეთდეს არანაკლებ 12 თვის და არა უგვიანეს 15 თვის ასაკისა.“;

ბ.ბ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^1 პუნქტი:

,,7^1. დაგვიანებით დაწყებული ვაქცინაციის შემთხვევაში:

ა) 7–11 თვის ჩვილების ვაქცინაციის კურსი შედგება 3 ინექციისგან – 2 პირველადი ვაქცინაციისგან და მესამე დამატებითი აცრისგან. პირველ და მეორე დოზას შორის რეკომენდებული მინიმალური ინტერვალია 4 კვირა, ხოლო მესამე დამატებითი დოზის გაკეთება რეკომენდებულია სიცოცხლის მეორე წელს, ბოლო აცრიდან 2 თვის მინიმალური ინტერვალით 15 თვის ასაკამდე.

ბ) თუ რაიმე მიზეზის გამო, ბავშვს აცრა არ გაუკეთდა 12 თვის ასაკამდე, 12-23 თვის ასაკის ბავშვებისათვის ვაქცინაციის კურსი არის ორ დოზიანი, ერთი ასაცრელი დოზა შეადგენს 0,5 მლ. დოზებს შორის მინიმალური ინტერვალი არის 8 კვირა;

გ) უფროსი ასაკის ბავშვებში აცრა კეთდება მხრის გარეთა ზედაპირზე დელტისებურ კუნთში.“.

გ) მე-12 მუხლით განსაზღვრულ ცხრილს მე-10 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-11 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

,,

11.	პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინა (PCV)	**უკუჩვენება*** მძიმე ალერგიული რეაქცია ვაქცინის წინა დოზაზე ან ვაქცინის კომპონენტზე; <u>**გაფრთხილება***</u> ვაქცინაცია არ ტარდება 6 კვირაზე ნაკლებ ასაკში; ზომიერი ან მძიმე მწვავე დაავადება ტემპერატურით და/ან მის გარეშე – გადადეთ ვაქცინაცია გამოჯანმრთელებამდე!

		**პნევმოკოკურ კონიუგირებულ ვაქცინაზე ვრცელდება ამ წესის მე-12 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული უკუჩვენებები და გაფრთხილებები*

.".

დ) მე-14 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ნ“ და „ო“ ქვეპუნქტები შემდეგი რედაქციით:
,,ნ) პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინის ფლაკონის გახსნიდან გასულია 6 საათი და მეტი (რადგანაც ვაქცინა არ შეიცავს კონსერვანტებს);

ო) პნევმოკოკური კონიუგირებული ვაქცინის ფლაკონზე არ არის მითითებული ფლაკონის გახსნის თარიღი, საათი და წუთი.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი **დავით სერგეენკო**